ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის

შრომები

WORKS

of the State Historical Museum

კრებული XXVI

EDITION XXVI

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture and Monument Protection of Georgia

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

Kutaisi State Historical Museum

ქ. ქუთაისის მერია

Kutaisi City hall

ევროპის მემკვიდრეობის დღეები

In the framework of European Heritage Days

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მუზეუმი და კულტურის სტრატეგია"

მასალები

MATERIALS OF INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE "MUSEUM AND CULTURAL STRATEGY"

ქუთაისი - KUTAISI

2016

დარეჯან კაჭარავა ---------- 64
ოქროს სამკაული ვანის № 22 სამარხიდან
Darejan Kacharava ---------- 64
Golden jewellery from grave N 22 at the Vani site

დავით მინდორაშვილი ---------- 79
ხიხანის ციხე
David Mindorashvili ---------- 79
The Khikhani Fortress

კრისტოფ ვერთი ---------- 95
წარმომავლობა, მოგონება და იდენტურობა – მუზეუმი, როგორც თვითრწმენის ადგილი
Dr. Dr. h.c. Christoph Werth, M.A. ---------- 95
Herkunft, Erinnerung und Identität – Das Museum als Ort der Selbstvergewisserung

მაია იზორია ---------- 97
ახალციხის რაბათის ციხის არქიტექტურა რეკონსტრუქციამდე
Maia Izoria ---------- 97
Architecture of Akhaltsikhe Rabati Castle before reconstruction

ოთარ გოგოლიშვილი ---------- 107
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმში 1905 წელს
Otar gogolishvili ---------- 107
Political Parties in Batumi, 1905

ნანა ქორიძე, ნათელა შერვაშიძე ---------- 112
საქსოვი ინვენტარი (მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით
Nana Qoridze, Natela Shervashidze ---------- 112
Knitting equipment (According to the materials kept in museum)

ნატო ცეცხლაძე ---------- 125
აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული თოფის – „მაჭახელა“ სახელოსნო
Nato Tsetskhladze ---------- 125
The model of weapon's workshop exhibited in the Khariton Akhvlediani Ajara State Museum

ნინო ხარჩილავა ---------- 129
ხელოვნური ნათესაობის ზოგიერთი საკითხი ისტორიულ სამურზაყანოში
Nino Kharchilava ---------- 129
Some Topics of Artificial Family Ties (Fictive Kinship) in Historical Samurzakano

მაია იზორია
აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო აკადემია,
რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ახალციხის რაბათის ციხის არქიტექტურა რეკონსტრუქციამდე

მდინარე მტკვრის შენაკადის, ფოცხოვოს ქვაბულში გაშენებული ქალაქის, ახალციხის ისტორიული ნაწილი მისი მარცხენა სანაპიროა, რომლის ფერსათის მთის ფერდობზე ტერასულად შეფენილი დასახლება და კლდოვან მაღლობზე წამოჭიმული დიდი ციხე მდებარეობს. ამ უბანს დღეს რაბათს ეძახიან და ციხესაც ამ სახელით მოიხსენიებენ, რაც არაბულად გამაგრებული ბანაკისა და დაბეგრილი მოსახლეობის მნიშვნელობებს იტევს (მ. ბერიძე, თბ., 2008 გვ. 274). თუმცა რაბათი ადრე მცირე საბაზრო მეიდანს ერქვა და საკუთარ სახელად მას შემდეგ გადაიქცა, რაც ციხის საზღვრებს მოსახლეობა გასცდა (მ. ბერიძე, თბ., 2008 გვ. 177-178).

ახალციხის სიმაგრის აღმშენებლობას გუარამ მამფალს (IXს), აფხაზთა მეფის ბაგრატის ცოლის ძმასა და ტაო-კლარჯეთის დამაარსებლის აშოტ 1 კურაპალატის უმცროს ვაჟს მიაწერენ: „ნასრი შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრხე, ჯუარის ციხე და ლომსიანთა, გუარამისივე აშენებული" (ქართლის ცხოვრება, ტ-4 გვ. 663). სწორედ ამ მონაცემს ეყრდნობა ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც რაბათის ციხეზე წერს: „ამას ვგონებ ლომსიად, ვინაითგან ისახელების რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე ლომსია" (ქართლის ცხოვრება, ტ-4 იქვე). ამგვარად, ვახუშტის ცნობით, ციხის გარშემო ქალაქის გაშენების შემდეგ მას ლომსიას აღარ ეძახდნენ, რაც სავარაუდოა, გულისხმობდეს თავად ციხის საფუძვლიან განახლებასაც.. ეს დაახლოებით, XII საუკუნის მიწურულს თამარის მეფობის ხანაში შალვა და ივანე ახალციხელების დროს უნდა მომხდარიყო ((მ. ბერიძე, თბ., 2008 გვ. 94-95). ციხის მომდევნო განახლება-გადაკეთება XIIIს-ის II ნახ-დან სამცხის ათაბაგების, ჯაყელების ხელში ქალაქის გადასვლას უკავშირდება. უნდა ითქვას, რომ XIV-XV საუკუნეებში ახალციხის ნგრევას არა მარტო თემურ-ლენგისა და თურქთა ურდოების შემოსევები, არამედ გაუთავებელი შინაომებიც იწვევდა (ქართლის ცხოვრება, ტ.2, თბ., 1955 გვ. 474-475. 482-486). ამიტომ ციხე მუდმივად საჭიროებდა შეკეთებას. სხვაგვარად, ვერც გაუმკლავდებოდნენ XVIს-დან გააქტიურებულ ირანსა და თურქეთს, რომლებიც რიგრიგობით აოხრებდნენ, ვერ იყოფდნენ სამცხეს. 1576წ-დან იგი ახალციხის საფაშოა, სადაც თურქებს ციხის სათავდაცვო ნაგებობების განახლებასთან ერთად მისი აღმშენებლობისთვისაც მიუყვიათ ხელი. ეს პროცესი XVIIს-ში, ახალციხის სათავეში გამაჰმადიანებული ჯაყელების მოსვლის შემდეგაც გრძელდება. ისინი რეზიდენციად თავისი წინაპრების სამკვიდროს, ციხის ციტადელს ირჩევენ და მოგვიანებით, იქ სასახლესაც აშენებენ. თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ჩანაწერებით, ციხეს შემოვლებული ჰქონდა აღმ-დან და დას-დან ქვის ზღუდე, ხოლო სამხ-ისა და ჩრდ-ის მხარეს ქვითკირისაგან ნაგები კედლები. მას გააჩნდა ორი დიდი კარი (ევლია ჩელები, I-II, თბ., 1971, 1973 გვ 300-301). ამავე მოგზაურის ცნობით, იმ დროს სიმაგრის ტერიტორიაზე არ მოქმედებდა მუსულმანურ აღმსარებლობასთან დაკავშირებული არცერთი შენობა. ჯამები იდგნენ დასახლებაში. ციხის ანსამბლში მეჩეთი მხოლოდ XVIIIს-ის შუახანებში, ახალციხის იმჟამინდელი ფაშის – ჰაჯი ახმედის მოთხოვნით შენდება. ამ პერიოდში იზღუდება იგი ქვითკირის სამი გალავნითაც.

IXს-ის 20-იანი წლებიდან რუსეთ-თურქეთის საომარ პოლიგონად გადაქცეულ ახალციხეში მოსახლეობისგან დაცლილ ტერიტორიებს ყარსიდან და ერზრუმიდან გამოქცეული სომხები იკავებენ. რაბათის ციხემ ამ უმძიმეს დარტყმასაც ღირსეულად გაუძლო. ფრანგი მოგზაური დიუბუა დე მონ-

პერე მისი ხედით ისე იხიბლება, რომ ადგილზე შესრულებულ გრაფიკულ ჩანახატს მოგვიანებით თავის ალბომში აქვეყნებს (Duboes de Montfereux, tt. Paris). თითქმის ამავე პერიოდში, 1847 წელს ახალციხის ძველი უბანი და ციხე ცნობილი რუსი მხატვრის გ.გაგარინის შთაგონების წყარო ხდება. ამავე საუკუნის 80-იან წლებში ახალციხის სიმაგრის პანორამას რუსი მოგზაური ვ.ივანოვი (ილ.1) და სხვა უცნობი ავტორებიც ასრულებენ. ახალციხის მაზრა 1846 წლიდან ჯერ ქუთაისის, შემდეგ ტფილისის გუბერნიაში შედის და ამ დროიდან მოყოლებული რუსეთის უღელს საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად იზიარებს.

ამ მოკლე ისტორიული ექსკურსიდან გამომდინარე ცხადია, რომ ციხის ანსამბლის არქიტექტურაში მრავლად იქნებოდა შემორჩენილი თურქეთისა და მეფის რუსეთის მმართველობის დროინდელი კვალი. თუ თვალს გადავავლებთ XX საუკუნის 70-იან წლებამდე ამ ადგილას დისლოცირებული საბჭოთა არმიის უთავბოლო „რეკონსტრუქციებსაც“, შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ციხის ანსამბლის სტილისტური „სიჭრელე“. მით უფრო, რომ სიმაგრის რეაბილიტაციამდე ქართულმა ელემენტებმაც საკმარისად მოაღწიეს, რაც, ალბათ, უფრო, გამაჰმადიანებული ჯაყელების თავისი წინაპრების სამკვიდროსადმი პატივისცემით აიხსნება. თუმცა ქართული წარმომავლობის არტეფაქტების შესახებ სრული ინფორმაცია არა გვაქვს, რადგან ერთხელაც არ ჩატარებულა ციხის ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა და სათანადოდ არ შესწავლილა მისი ანსამბლის არქიტექტურა (პ.ზაქარაია, თბ, 2002, გვ.144). ამასთანავე ციხე კაპიტალურად არ შეკეთებულა მას შემდეგაც, რაც საბჭოთა არმიის საჯარისო ფორმირებებმა მისი ტერიტორია დატოვეს. ამ მხრივ შედეგი ვერ გამოიღო რაბათის სიმაგრის საზღვრებში დამკვიდრებულმა ახალციხის ისტორიული მუზეუმის ძალისხმევამაც.

სხვადასხვა ეპოქისა და არქიტექტურულ-მხატვრული ფასეულობის შენობა-ნაგებობისგან შემდგარი ციხის ანსამბლი თავისი გეგმარებით მიუდგომელია (ილ.2). იგი ორ ტერასად გაშლილი პლატოს 7 ჰა ნაკვეთს მოიცავს. ზედა ციხის ტერიტორიაზე განლაგებული ციტადელი სასახლით, მეჩეთი და მედრესე, კარიბჭის შორიახლოს აღმართული აგურის მინარეთი და გალავანსგარეთ არსებულ ხევზე გადაყვანილი შესანიშნავი პროპორციების მქონე თაღებზე გამართული სავარაუდოდ, აკვედუკი (პ.ზაქარაია, თბ., 2002, გვ. 143-145), რომელსაც ვიადუკის ფუნქცია წყლის მოწოდების სისტემის მოშლის შემდეგ უნდა შეეძინა, ცხადად ასახავს ციხის შუა საუკუნეების ისტორიას. რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა პერიოდების დროინდელი XIX-XX ს.ს-ში აგებული სხვადასხვა ფუნქციის შენობები ძირითადად ქვედა ციხეშია თავმოყრილი.

ჩვენამდე მოაღწია ნახევარწრიული გოდოლებით, სწორკუთხა კოშკებითა და ტრაპეციისებური კონტრფორსებით გამაგრებულმა ალაგ-ალაგ მორღვეულმა გალავნის ორმა ზღუდემ, გარეთა მესამე გალავნის არსებობას ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა. იგი წერდა, რომ ქალაქი „არს მოზღუდვილი ციხიდან ქვიტკირის სამი ზღუდით“ (ქართლის ცხოვრება, ტ-4, იქვე), რასაც ადასტურებს ჩრდ-ის მხარეს შემორჩენილი დაბალი კედლის ფრაგმენტები. გალავანი თავისი მოძრაობით რელიეფის კონტურებს მიჰყვება და ძალზე სპეციფიკური არაწესიერი გეგმარება აქვს. ზედა ციხის სამხ-ის მხარეს, სადაც ციტადელია აღმართული, კლდე იმდენად ქარაფოვანია, რომ დაცვას აღარ საჭიროებდა და გალავნის ხაზი, ალბათ, ამიტომაც არ გააგრძელეს. სამაგიეროდ, მისი კედლები ციცაბო კლდის ფერდებს ძირამდე ჩაუყვება, რათა მტრისთვის წინაღობა შეექმნა, თუ იგი ცოცვით განიზრახავდა შეტევას. აღმ-ისკენ გალავანი მკვეთრად იჭრება პლატოს ტერიტორიაზე. ხოლო განივი ღერძებისკენ ბრუნვისას მახვილ-კუთხოვან გვერდებს იკეთებს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XVIIIს-მდე ციხის გალავანი რელიეფზე ისე მოძრაობდა, რომ კუთხეს არ იკეთებდა. კოშკებიც მახვილ გვერდებს მომდევნო პერიოდში იძენენ. ჩამორიგებული გოდოლებიდან დონჟონი უნდა ყოფილიყო მთავარი კარიბჭის დას-ით აღმართული დიდი და მაღალი ჩამოქცეული კოშკი

შიდა მხრიდან მას დაცვის მიზნით მიდგმული აქვს ფაშას მოსასვენებელი ერთსათავსიანი შენობა, რომლის სწორკუთხა მოცულობა ნაგებია აყალო ქვით და მოგებულია თლილი ქვით. ყრუ სიბრტყეების გამო ფაშის მოსასვენებლის შიდა სივრცე ნახევრადბნელია. მაღალპარმაღიანი შესასვლელი გამართულია დას-დან. ხოლო ერთადერთი სარკმელი, ხის ძელით გამაგრებული ისრულ-თაღოვანი ვიწრო ღიობი სამხ-დანაა გაჭრილი.

შიდა ზღუდეს არა იარტო ციხის დამცავი, არამედ პლატოს ტერასების სასიმაგრო ფუნქციაც გააჩნდა. ციხის ტერიტორიაზე განივად შეჭრილი მისი ხაზი სხვადასხვა დონეზე განლაგებულ ტერასებს ერთმანეთისგან მიჯნავს. მათ ნახევრადცილინდრული კოშკით დაცული გრძელი, განიერი და მრუდედ მოძრავი კიბე აკავშირებს. შიდა ზღუდის განივად შეჭრილი კედლები ქვედა ტერასის მოვაკებულ ტერიტორიაზეც გადის და თავისი უსისტემო მოძრაობით ყველაზე მეტად ავლენს ახალი მოცულობების გაჩენისა თუ გადაკეთებების შედეგად ძველი გეგმარების რღვევას.

კლდოვან ქანზე დადგმული გალავნის კედელი საგრძნობლად სქელია, ორ მეტრს აღემატება. იგი ჩამოშლილ მდგომარეობაშიც 3მ-დან 5მ-დე სიმაღლეს აღწევს. გოდოლიდან გოდოლამდე გაჭრილი ვიწრო სათოფურების რაოდენობა 12-დან 14-მდე მერყეობს. მათი ღიობების მოყვანილობა ძირითადად ოთხკუთხაა. თუმცა გვხვდება თაღოვანი და შეისრული ფორმის სათოფურებიც. გალავანს შერჩენილი აქვს ქონგურები, რომელიც თავისი სწორკუთხა ფორმით თურქული წარმომავლობისაა. შიდა ზღუდის განივი კედელი და ქვედა ციხის გალავანიც თურქების განახლებული რომ უნდა იყოს, ამას მოწმობს მთელ სიმაღლეზე 2,5მ-ის სიგანის ძველი კედლების 1,5მ-ის სისქემდე დაყვანა. ამიტომ ქართული წარმომავლობის ორმაგი სათოფურებისგან განსხვავებით, თურქების ნაშენ კედელში გაჭრილი სათოფურები ცალმაგია. ადგილობრივი ტრადიციებით გაკეთებული რამდენიმე სათოფური და საზარბაზნე შემორჩენილია ვაკე რელიეფზე გამავალ გალავნის მონაკვეთებზე, რომელიც სავარაუდოდ, XVIIს-ში ჯაყელებს უნდა ამოეყვანათ.

გალავნის მორღვეული ზედა არეების გამო ძნელია გარკვევა, ჰქონდა თუ არა მას მაშიკულები. საბრძოლო ამბრაზურებიდან მხოლოდ შიდა მხარეს მოწყობილი ერთმეტრიანი სიგანის ქვის ბილიკებია შემორჩენილი. კედლების წყობაში დატოვებული ხვრელები ხის თაროების საბჯენებისთვისაა განკუთვნილი და გალავნის სიმაღლეზე იმავე სიგანის ხის ბილიკების გამოყენებასაც მოწმობს. მასზე მოსახვედრად ჩვეულებრივ ხის მისადგმელ კიბეს მიმართავდნენ.

კირის დულაბზე აყვანილი გალავნის საამშენებლო მასალა მრავალფეროვანია; კედლის წყობაში ჩართულია, როგორც თლილი და გაუთლელი ლოდები, ასევე სიპი ქვა და ფიქალიც. ჭარბად გამოყენებული აგური ყველაზე მკაფიოდ ავლენს მოგვიანო შეკეთებებსა თუ გადაკეთებებს. დათვალიერებისას უპირატესად შეინიშნება გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი საამშენებლო მასალის მჭიდრო წყობით მიღებული გალავნის სწორხაზოვანი ზედაპირი. შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ციტადელის ზღუდის შემორჩენილ ჩრდ. ხაზზე IX-X საუკუნეებისთვის ტიპიური ქვების თავისუფალი განლაგებით ამოყვანილი რელიეფურ-ზედაპირიანი კედლის მონაკვეთები. გარდა ამისა, ციტადელის ტერიტორიაზევე, დილეგის შიდა ეზოს ზღუდის დათვალიერებისას განვითარებული შუა საუკუნეების კედლის ფრაგმენტებიც შეინიშნება. ციხის გალავნის გასამაგრებლად მთელ პერიმეტრზე ქართული და სომხური სამაროვნებიდან ამოტანილი ორნამენტული, ჯვროვანი და ზოომორფულ-გამოსახულებიანი საფლავის ქვებია მეორადად ჩაშენებული.

გალავნის საზღვრებში სწორკუთხა გეგმარების განიერ ბჭეებს შორის 3 მეტრიანი ფართო თაღით გახსნილი და ალაყაფით დაცული მონუმენტური კარიბჭეებია გამართული (ზედა ციხის ორმაგი კარი (2) და ქვედა ციხის 1 კარი). თურქების მიერ XVII-XVIII საუკუნეებში რეკონსტრუირებული კარიბჭეები თავისი სტრუქტურით უახლოვდებიან ერთმანეთს. უკლებლივ ყველას განიერი ბჭეები და არქიტრავული გადახურვის ქვეშ გამართული თაღოვანი შესასვლელები აქვს. მრუდე ზღუდარის

ამოშენებით დადაბლებული მათი სწორკუთხა ალაყაფი კარიბჭის სიმაღლის 1/3-ს იკავებს.. მხოლოდ ქვედა ციხის კარიბჭეა მთლიანად თაღოვანი. საერთო ორფერდა სახურავი იმდენად დაბალია, რომ თითქმის აღარ იკითხება. თავისი რთული გეგმარებით განსხვავებულია მთავარი შესასვლელის შიდა კარიბჭე, რომლის დას-ის ბჭე Γ ფორმის ნაგებობაა. მისი აღმ-ით მიმართული ფრთა ალაყაფს გარეგან პარალელურად გასდევს. სამხ-ის გრძივი ფრთა კი ციხის ტერიტორიაზე პერპენდიკულარულად იჭრება. კარიბჭის შედარებით დაბალი მეორე ბჭე ტრაპეციის ფორმის კონსტრუქციაა. მას შიდა მხრიდან განივად მიდგმული აქვს ორმარშიანი კიბე. სამივე კარიბჭის ფართო ბჭეების სივრცეში მცველებისთვის განკუთვნილი სადგომებია სართულებზე გამართული. კამაროვანი გადახურვის ქვედა სართული თითო-თითო კარ-სარკმლით გამოდის გარეთ. ზედა ოთახი ბრტყელი, თარაზული სახურავითაა დაფარული. სართულები ერთმანეთს იატაკში გაჭრილი ხუფიანი ღიობითა და მისადგმელი კიბით უკავშირდებიან.

ზედა ციხის საზეიმო კარსე-კარიბჭეების მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ქვის დაბალი გალავნით მოგვიანებითაა შემოვლებული, საომარი მოქმედებების წინ ჯარის საკრებულო ადგილი უნდა ყოფილიყო. გალავნის ამავე ნაწილში, გარეთა პირზე მუსულმანური სალოცავი, ისრულ-თაღოვანი ნიშა – მიჰრაზია გამართული. იქვე შორიახლოს, დაახლოებით 5მ-ის სიმაღლის აგურის მრავალკუთხა მინარეთია აღმართული. თავისი მდებარეობის გამო მას შესაძლოა, სადარაჯო კოშკის ფუნქციაც ჰქონოდა.

ქვედა ციხის კარიბჭე თავისი თაღოვანი მოყვანილობითა და თაღის ტიმპანში მოთავსებული დაბალი რელიეფით გამოყვანილი რელიგიური ხასიათის არაბული წარწერით (ტექსტი ასე იკითხება „ისევე შეუძლებელია მეჩეთიდან ნახევარმთვარის ჩამოგდება, როგორც ციდან ნახევარმთვარის ჩამოვარდნა"), ყველაზე მეტად უნდა ავლენდეს თურქულ კვალს. თუმცა ქართული ნაკვალევის შემონახულობის მხრივაც სწორედ ეს კარიბჭე იწვევს დიდ ინტერესს. კერძოდ, კარგად გათლილი ქვით მოპირკეთებული მარცხენა ბჭის გვერდის წყობაში, დაახლოებით 3მ-ის სიმაღლეზე მას გააჩნია მეორადად ჩაშენებული ჰორიზონტალურად გაზიდული ქვა, რომლის ზედაპირის მარჯვენა მხარეს ამოკვეთილია კუთხური ასომთავრულით შესრულებული ქტიტორული ხასიათის დაქარაგმებული წარწერა; „ქრისტე შეიწყალე მიქაელი და ბაგრატ". (ილ.3) ხელნაწერთა ინსტიტუტის წინასწარული დასკვნით წარწერა IX საუკუნის ადრეულ ტაძარს უნდა ეკუთვნოდეს. პარმენ ზაქარაიას გასული საუკუნის შუახანებში რაბათის სიმაგრის ტერიტორიაზე მართლაც უნახავს ზედა კარიბჭის აღმ-ით მდგარი ქართული წარმომავლობის ეკლესია და იქვე აღმართული ორსართულიანი სამრეკლო. მასვე შეუნიშნავს ქვედა და ზედა ციხეების გამყოფი ზღუდისა და კიბის დამცავი ნახევრადცილინდრული კოშკის კედლებში ჩაყოლებული ნაეკლესიარის ფრაგმენტები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ჯვარი წარწერით. (პ.ზაქარაია თბ. 2002 გვ. 144). ადვილი დასაშვებია, რომ პ.ზაქარაიას იქ ყოფნის შემდეგ სწორედ ეს წარწერიანი ქვა „ჩამოიღეს" და მეორადად ჩააშენეს ქვედა ციხის კარიბჭის ბჭეზე. მაგრამ სად „დაიკარგა" ჯვარი, რომელიც მეცნიერს უნახავს? ხომ არ იყო იგი წარწერიანი ქვის გვერდით განთავსებული ჯვრის-გამოსახულებიანი საფლავის ქვა? ამ უსისტემო „შეკეთება-გადაკეთებების" შესახებ პ.ზაქარაიამ მართებულად შენიშნა, რომ ციხეს რაც ოსმალებმა დააკლეს „20-იან წლებიდან იქ 50-60 წლის განმავლობაში მდგარმა საბჭოთა ჯარმა მოათავა." (პ.ზაქარაია თბ. 2002 გვ. 145)

ზედა კარიბჭესთან მდებარე, დაახლოებით IX-XI-ების ქვით ნაშენი ეკლესია საჯარისო ფორმირებების მიერ გალავნის გაფართოებისას უნდა ჩამოქცეულიყო და მისი ნაწილები ზღუდის ხაზისთვის გამოეყენებინათ. როგორც ჩანს, დას-დან და სამხ-დან იგი ამის შემდეგ ხელმეორედ ამოაშენეს გალავანს გარეთ მოქცეული ფასადებისგან განსხვავებით, ნაეკლესიარს შიდა მხრიდან ამიტომაც უნდა მიეღო რიგითი შენობის სახე. ციხის უმეტესი ნაგებობების მსგავსად უფრო სავარაუდოა

რომ მასაც ეკისრებოდა ყაზარმის ფუნქცია. ნაეკლესიარის მოცულობამ ჩვენამდე მოაღწია სწორკუთხა, გრძივი, დარბაზული ნაგებობის სახით, დას-დან მოწყობილი შესასვლელით. შიდა სივრცეში შემორჩა კედლის ადრეული ფენები (ძირთან ახლოს, ქვედა არეებზე) და მონუმენტური შენობის კონსტრუქციული ნაწილების ელემენტები – იატაკის კოჭების ჩასადგმელ ხვრელებში გვერდულად ჩაყოლებული ლილვებითა და ფოსოებით პროფილირებული კარგად გათლილი ქვები. ერთ-ერთ მათგანზე დატანილი იყო რელიეფური დეკორიც. შირიმის დიდრონი ფილებით მოგებული ნაეკლესიარის ორ იარუსად გაშლილი ფასადები უსისტემოდ იყო გაფორმებული რელიეფურად გამოყვანილი ფართო მოქნილი თაღნარით, რომლის წყობა ძალზე წააგავდა ამოქოლილი სარკმლების კომპოზიციას. გალავნის „რეკონსტრუქციას" შეეწირა ნაეკლესიართან შორიახლოს მდგარი, დაახლოებით XIVს-ის ორსართულიანი სამრეკლოც.

ერთი შეხედვით, ნაეკლესიარს მოგვაგონებს ზედა ციხის უკიდურესი დას-ით, პლატოს მინაყრილიან ფერდზე შემორჩენილი ტრაპეციისებური კონტრფორსით გამაგრებული ჩრდ-დან სამხ-სკენ მიმართული გრძივი ნაგებობა, რომელიც ასევე ყაზარმის სახით ფუნქციონირებდა. დიდრონი ლოდების თავისუფალი განლაგებით ამოყვანილი და კარგად გათლილი ქვებით მოპირკეთებული შენობა, სავარაუდოდ, ახლომდებარე გალავნის ნარღვევითა და წინამორბედი ნაგებობის (ან ნაგებობების?) საამშენებლო მასალითაა აშენებული. ამის ერთგვარი დასტურია, ყაზარმის ორფერდა სახურავის დაშლისას გამოვლენილი დიდი ზომის ძველ კრამიტებზე დატანილი დამღების მრავალფეროვნება. მოცულობის შიდა სივრცის მარტივ გეგმარებას შესასვლელთან გამართული ვიწრო, განივი, კამაროვანი დერეფანი-ტრანსეპტი და შესასვლელის ღერძზე განლაგებული სწორკუთხა კარით დაკავშირებული მოგრძო კამაროვანი ვრცელი დარბაზი განსაზღვრავდა. მისი გვერდითა დამრეცი კედლები მრუდედ ეშვებოდნენ მინატკეპნილი იატაკისკენ. ხოლო ჩრდ. და სამხ-ის თაღოვანი ფორმის კედლებში არანესიერი მოყვანილობის მომცრო ღიობები იყო სიმაღლეზე გაჭრილი. ყაზარმის მოცულობის აღებისას აპირისპიროდ დამხრობილი (აღმ-დან დას-სკენ) წინმსწრები ნაგებობის საძირკველი გამოიკვეთა, რომლის მოგრძო ფორმა ზედმიწევნით თანხვდებოდა არსებულ შენობას. თუ დასაშვებად მივიჩნევთ, რომ წინმსწრებ ნაგებობას ყაზარმის არქიტექტურის გადაწყვეტაზე არა მარტო გეგმარებით, არამედ იერსახითაც შეეძლო მოეხდინა გავლენა. მაშინ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წინმსწრები ნაგებობა ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილი ძველი საყდრის ნაშთები უნდა იყოს.

რაბათის სიმაგრის საერთო ხედის განუმეორებელ ხასიათს ზედა ციხის ცენტრალურ მოედანზე აღმართული, დიდი დიამეტრის გუმბათით დაგვირგვინებული რუსეთის იმპერიის დროს ეკლესიად გადაკეთებული ფაშა ჰაჯი ახმედის ყოფილი მეჩეთი ქმნის. 1752 წელს ნაგები სწორკუთხა გეგმარების აგურის შენობა ყრუ ცოკოლითაა ამაღლებული და ეკლესიისთვის განუყოფელი საკურთხევლის აფსიდისა და ჩრდ-დას-ით აღმართული მინარეთის უცნაური ნაზავის მიუხედავად, არქიტექტურული ფორმის მთლიანობას ინარჩუნებს. ვიწრო, მაღალი თაღებით გახსნილი, ფანჩატურითა და მცირე გუმბათით დასრულებული მინარეთის კოშკი შენობის კუთხეში, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან გამართული შესასვლელების კვეთაზე დგას და ერთგვარი ნიშნულის დატვირთვას ასრულებს. შირიმის ქვის მოყვითალო ფილებით მოგებული ფასადების სადა, კლასიკურად ზომიერი დანაწევრების საპირისპიროდ სფერული თაღებით, თაღნარით, სტალაქტიტების მოტივითა და მცენარეული ორნამენტის მოხატულობით გაფორმებული ნაგებობის ვრცელი ინტერიერი საზეიმო განწყობას იწვევს. მისი დარბაზული სივრცის საოცარ მთლიანობას ამ შემთხვევაშიც არ არღვევს სტილისტურად განსხვავებული მიჰრაზის ნიშისა და საკურთხევლის აფსიდის პარადული ელემენტების ერთ ფართობში თანაარსებობა.

შედარებით მოგვიანებით, XVIIIს-ის 60-70-იან წლებში აშენებული Г-ს ფორმის დაგეგმარების

გარეგნულად მკაცრი და პარადული იერის ორსართულიანი მედრესე უკანა მხრიდან საზღვრავს მეჩეთს და მასთან ერთად განუყოფელ კომპოზიციას ქმნის. შენობის ღერძების გადაბმის კუთხეში ორივე სართულის სიმაღლეზე აწვდენილი, ფართო და მაღალი პარადული კიბით დაკავშირებული სადარბაზო სივრცეა გამართული. მედრესეს ჩრდ-სკენ მიმართულ ფრთას აგურით ამოყვანილი ორი გუმბათი აგვირგვინებს. სათავსების თაღედზე მოხატულობის ფრაგმენტები სწორედ მის ფართობშია შემორჩენილი. მედრესეს ფასადების მთავარი მხატვრული ეფექტია გალერეათა ბოძებზე გადასროლილი მსუბუქი თაღნარი, რომლის რიტმსაც განივი თაღოვანი მალებისა და ღიობებით გახსნილი სათავსების მწყობრი, სიმეტრიული განლაგება ეხმიანება. მედრესეს მკაცრ იერს არ არღვევს ნაკვეთი მცენარეული მოტივებით გალერეის სვეტების კაპიტელთა შემკობაც.

მეჩეთი-მედრესეს კლასიკურ კომპოზიციას ზედა პლატოს უკიდურესი სამხ-ის კლდოვანი შემაღლებიდან რაბათის ციხის უძველესი შენობა, ფეოდალების ადმინისტრაციულ-სათავდაცვო ცენტრ- — ციტადელი გადმოჰყურებს (ილ.4). იგი სავარაუდოდ, IX-X ს.ს-ეებში უკვე არსებობდა. ციტადელის სათავდაცვო ფუნქციას აღქმისთანავე ავლენს სასიმაგრო კედლებით ამოყვანილი და გოდოლებით განმტკიცებული, ტრაპეციისებურად ღრმად შეჭრილი სარკმლებით (გრძივად – 6., განივად-1) დანაწევრებული პირქუში ფასადი, რომლის სტატიკას ერთგვარად აცოცხლებს მახვილი კუთხის გარეშე ამოყვანილი აღმ. კედლის მრუდე პლასტიკა. ციტადელისკენ დას-დან მისასვლელი საურმე გზის დასაწყისში ძველი გალავნის მონაკვეთია დარჩენილი. გალავნის სისქე, რომელიც 2მ-ს აღემატება მის ადრეულობაზე მეტყველებს. კედელს შიდა მხრიდან საბრძოლო ქვის ბილიკი აუყვება და დაბალი ცრუ კარი აქვს გაჭრილი, რომლის უკან მტრისთვის ახეა დაგებული. დიდი და ბრტყელი წესიერად გათლილი ქვიშაქვის ქვებით გარედან გამაგრებული ცრუ კარი მტერს თვალში ადვილად უნდა მოხვედროდა და ყრუ-კედლებით გარშემორტყმულ იზოლირებულ სათავსში შეეტყუებინა საიდანაც ერთადერთი გამოსასვლელი ციტადელისკენ გასაძრომად გათვალის ინებული მცირე დიამეტრის ფარული გვირაბი იყო. ამ მოხერხებულად მოწყობილ ხაფანგში ყურადღებას იქცევს ქართული ტრადიციისამებრ კარის თავზე დასმული აპოთროპეული მნიშვნელობის გრაფიკული გამოსახულება – წრეში ჩასმული ჯვარი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ქვიშაქვის ელემენტები ჯერ კიდევ გვიან შუა საუკუნეებში უფუნქციოდ დარჩენილ ახლომდებარე საყდრიდან უნდა გადმოეტანათ. შესაძლოა, რომ ეს ის საყდარიც იყოს, რომელიც ზემოთ ხსენებული ყაზარმის წინმსწრებ ნაგებობას წარმოადგენდა.

ამ დრომდე მოაღწია ციტადელის მრავალჯერ გადაკეთებულ-შეკეთებულმა ოდნავ ოვალური მოყვანილობის გრძელმა დარბაზმა, მორღვეული გვიანდელი სახურავითა და სასიმაგრო ზღუდის ჩრდ. ხაზით. გალავანს გოდოლები, შესასვლელი კარი და მის გასწვრივ ამავალი კიბის მარშები (2-2) შემორჩა. დარბაზის შიდა პირზე სართულშუა გადახურვის კოჭებისთვის გაკეთებული ხვრელები გვიჩვენებენ, რომ ციტადელს თავდაპირველად, მეორე სართულიც უნდა ჰქონოდა. დარბაზის ძელური გადახურვის მიუხედავად, ოვალური კედლის მხარეს ნივნივების გამოყენებაც შეინიშნება

ციტადელის უკანა მხარეს, კლდოვანი ქარაფის პირზე, გალავნით გამოყოფილ ეზოში აგურისა და დუღაბიანი ფლეთილი ქვის საგრძნობლად სქელი კედლებით აგებული დილეგის პირქუში შენობა მდებარეობს. იგი მთავარი ფასადის საპირისპირო მხარეს თითქმის მთლიანად მიწაშია ჩასული და ნიადაგის ზედაპირზე სახურავის თაღოვანი კამარებით ამოდის.

XVIIს-ის მიწურულში აგებულ ჯაყელების სასახლისაკენ ყველაზე თვალწარმტაცი ხედი სწორედ დილეგის ბანიდან იშლება. ზემოდან კიდევ უფრო უკეთ შეიგრძნობა ჯაყელების სასახლის სადა არქიტექტურული ფორმების მხატვრული გამომსახველობა. სრულიად მორღვეული სახურავი ამ მანძილიდანაც საშუალებას იძლევა მკაფიოდ აღვიქვათ ცოკოლზე აღმართული შენობის პერპერნდიკულარული ღერძების სიმეტრიული გეგმარება. სივრცისკენ ფართოდ გახსნილი თაღოვანი ღიობები

მწყობრი რიტმი და სასახლის დარბაზებისა თუ დერეფნების თაღოვანი მალების მოქნილი პლასტიკა უხვად განათებულ ინტერიერს საოცარ სიმსუბუქეს განსაზღვრავს.

ქვედა პლატოს მოედნის ირგვლივ (აღმ-ის და სამხ-ის შემაღლებებზე) დაფიქსირებული ადრეფეოდალური და საბჭოთა ეპოქების აბანოები გვიდასტურებს, რომ ამ ტერიტორიას ციხის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყლით მომარაგების ფუნქცია ეკისრებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქვედა მოედნის სამხ-ით მდებარე კლდოვან ბორცვაკზე გამოვლენილი ადრეფეოდალური ხანის მრავალსათავსიანი აბანოს ნაშთები. ტერასებად განლაგებულ აბანოს სეგმენტებს ქვის აუზის საძირკვლები, ერთმანეთთან დამაკავშირებელი მოკლე, მაღალი ქვის საფეხურები, განივკვეთიანი თიხის მილებით შეყვანილი წყლის სადენები და დიდი სწორკუთხა საკანალიზაციო ხვრელები ჰქონდათ.

ქვედა ეზოს სამხრეთ მონაკვეთშივე, აბანოების კლდოვან ბორცვაკებს შორის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებისას მძიმე ტექნიკამ კარგად გათლილი ქვის კვადრებით კაპიტალურად ნაგები კამაროვანი გვირაბი აღმოაჩინა. იგი პლატოს ქვეშ არცთუ დიდ მანძილზე გრძელდება. მდინარისკენ გვირაბიდან გამომავალი კედლებით მოზღუდული მიწაყრილიანი ციცაბო გზით ჩადის. გადმოცემით, გზა გაღმა ნაპირზე გადიოდა და ციხის წყალმომარაგებას უზრუნველჰყოფდა.

ქვედა ციხის მოვაკებულ რელიეფზე განლაგებული XIXს-ისა და XXს-ის დასაწყისის ნაგებობათა ეკლექტური არქიტექტურული ფორმები ციხის ანსამბლთან სტილისტურად დაკავშირების ტენდენციას ორიენტალისტური ელემენტების (ისრული ფორმები, კბილანები, ქონგურები და სხვა) გამოყენებით ავლენენ. ამ პერიოდში ანსამბლურობისკენ სწრაფვა მთლიანად უბანს ახასიათებს. ამას გვიჩვენებს გასული საუკუნის 20-იან წლებში გ.ბოჭორიძის მიერ აღნუსხული უბანში არსებული შენობა-ნაგებობები (გ.ბოჭორიძე, თბ. 1972 გვ.8 165-166). ამ ვრცელი ნუსხის მიხედვით, უბანში მთავარი ციხის გარდა, თავისივე გალავნებით შემოზღუდული და ერთმანეთთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე ციხე მდგარა. ჩრდ-დას-ით მდებარე "შურის" ციხიდან გამომავალი მაღალი, განიერი გვირაბი გადმოცემით, რაბათის ციხეში შედიოდა. მისი ფრაგმენტები დღესაც შემონახულია ციხის დას-ით მდებარე ხევში აბანოდ (სოღოლას აბანო) გადაკეთებულ მეჩეთის ნანგრევებთან. (პ.ზაქარაია, თბ, 2002, გვ. 145).. სწორედ შურისა და რაბათის ციხეებს შორის მოქცულ ღრმა ხევშია ჩადგმული თაღოვანი მალებით გახსნილი კონსტრუქცია, რომელსაც მდებარეობის გამო „ორციხის შუა" შეარქვეს. ხალხის წარმოდგენით იგი ძველი ქალაქის შემოსასვლელ „კარიბჭესაც" წარმოადგენდა.

XXს-ის 20-იანი წლებიდან თანდათანობით ირღვევა კავშირი არა მარტო რაბათის უბნის დასახლებასა და ციხეების არქიტექტურას შორის, აარამედ მთავარი ციხის ანსამბლში შემავალ შენობებს შორისაც. გასული საუკუნის 50-იან წლებში საჯარისო ფორმირებებმა ქვის გამოყენების მიზნით

რის ციხეც ნაციხარად გადააქციეს. რაბათის ციხის განაშენიანებაში საბჭოთა პერიოდში შექმნილ სიტუაციას ყველაზე ნათლად ქვედა პლატოს ტერიტორიაზე ფუნქციონალური მიზნით წარმოებული რიგითი ნაგებობების ქაოტური „აღმშენებლობა" გვიჩვენებს.

მიუხედავად იმისა, რომ რაბათის ციხე ხელიდან ხელში გადადიოდა, თავისი ძირითადი თვისებებით ქართული სათავდაცვო ნაგებობისთვის დამახასიათებელ მიდგომას ავლენს. ადრეულ ეპოქაში მისი დაარსება რთული რელიეფის შერჩევითა და მაქსიმალური გამოყენებით დასტურდება. ციხის გეგმარებაც რელიეფის სპეციფიკის გათვალისწინებით ყალიბდება. ანსამბლის ძირითადი ბირთვი –ციტადელი, ადრეული ქართული სიმაგრეების კიდევ ერთ ხაზულს, სატრანსპორტო ჭიშკრის უგულებელყოფასა და მცირე კარით შემოფარგვლას წარმოაჩენს. გალავნისთვის საბრძოლო ბილიკების ორივე ვარიან ის გაკეთებაც მთაში მდებარე ქართული ციხეებისთვის ტიპიურია. მდინარისა და მისკენ ჩამავალი გვირაბის გზით წყლით მომარაგებაც ქართულ ციხეებს ახასიათებს.

ამასთანავე ქვედა პლატოზე მოწყობილი აბანოები გვარწმუნებს, რომ ციხეში მოქმედებდა წყალ-სადენის სისტემაც. გალავანში შემორჩენილია ადრეულ ხანაში გავრცელებული სწორკუთხა ფორმის დონჟონი და ნახევრადცილინდრული ე.წ. ზურგიანი კოშკი. ქართული ელემენტების სიმრავლე ციხ-ის მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტული ნაეკლესიარ-ნასაყდრალი ნაგებობების სხვადასხვა ტიპის ნაშთებით (კონსტრუქცია, საამშენებლო მასალა, დეკორი, წარწერა) შეინიშნება

დასასრულს შეიძლება ითქვას, ნაჩქარევად გაკეთებულმა რეაბილიტაციამ ციხეს ისტორიული დამაჯერებლობა დაუკარგა და მონაცემების თვალსაზრისითაც ბევრი რან დაუზუსტებელი დატოვა

ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ.4, თბ., 1955 გვ. 663.
2. მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბ., 2008 გვ. 94-95. 274, 276, 277-278
3. დ .ბერძენიშვილი, სიახლენი სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული ისტორიიდან, 1998 წლის 19 მაისის ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო სესია, გვ. 2.
4. ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. .2, თბ., 1955 გვ. 474-475. 482-486. 531
5. ევლია ჩელები, მოგზაურის წიგნი, I-II, თბ., 1971, 1973 გვ. 300-301.
6. ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935 გვ. 55.
7. Duboes de Montfereux Vouage a otour du Coucase, tt. Paris
8. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1957 გვ, 12-16.
9. გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ. 1972 გვ. 8, 165-166.
10. Газ.Тифлисские ведомости, 1832 г. N.5-6., 1871 г. N.8
11. P.Gamba, Voyage dans La Russie mericlionale el particulierement dans les provinces situees au-dela, du caucase.fait depuis 1820 jusqu en 1824. L.l. paris 1926
12. Duboes de Montfereux Vouage a otour du Coucase, tt. Paris
13. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, ęბ., 1957, გვ. 12-16
14. გ.ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ, 1972 გვ 8, 165-166.
15. პ. ზაქარაია, ქართულ სიმაგრეთა ისტორია, თბ. 2002, გვ 143-145
16. პ. ზაქარაია, თბილისი ბორჯომი ვარძია, ისტორიულ-არქიტექტურული გზამკვლევი, თბ 1977
17. მ. სურამელაშვილი, ახალციხის რაბათი – ისტორიული არქიტეტურის მეტამორფოზა, https://mananasuramelashvili.wordpress.com/

MAIA IZORIA
Tbilisi Apolon Kutateladze State Art Academi, Faculty of Restoration and Art History and Theory, Doctor of Art Criticism

AR. KUTATELADZE TBILISI ART ACADEMY ARCHITECTURE OF AKHALTSIKHE RABATI CASTLE BEFORE RECONSTRUCTION

The Akhaltsikhe Rabati Castle standing on the rocky highland on left embankment of river Mtkvari is named Lomsia since IX century. Approximately after the end of XII century after fundamental restoration of Castle and building the city around the fortress it was called Akhaltsikhe. In following eras the castle has been repaired for many times. From this point of view, great contribution was made by Samtskhe governors – Jakelebi, Turkish people who conquered the Castle since the end of XVI century and Russians settled in Rabati Castle since twenties of XIX century. Also the dislocated soviet army before seventies of XX century leaves its trace. Despites this before the rehabilitation of Castle, the Georgian elements have also achieved.

The ensemble of the Castle set up from the premises of architectural value and of various epochs with its setting out is impartial. It is scattered in two terraces and occupies 7 hectares of plot. It is surrounded by half-circle towers, right-angular towers and trapezium like contra forces fortified with two fences of dismantled gate, with the palace citadel located on the territory of upper castle, Mosque and Madres, brick structure erected nearby to the gate and the aqueduct erected on the arches of wonderful proportions imbedded in the gorge outside the gate reflects the medieval history of Castle.

The many receptacle bath of early feudal era discovered on the territory of lower Castle makes us think that for the fortress complex the supply of water from this side was convenient. The vault like tunnel constructed with peeled stone squares re ected in the south section of the lower yard provided the supply of water for the Castle.

Despites this diverse elements the urgent rehabilitation works made Castle lose its visual historic confidence.



1. ვ. ვ.ივანოვი რაბათის ციხე, გრაფიკა 1880 წ.

2. რაბათის ციხის ეროფოტო

3. ასომთავრული წარწერა

4. ციტადელი. ხედი დას-დან